# რეზიდენტურაში ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ!!!

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე: „თერაპიული სტომატოლოგია“ და „ორთოპედიული სტომატოლოგია“ ასევე სუბსპეციალობის პროგრამაზე - „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“.

კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ-ს კანცელარიაში 2016 წლის 29 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით, 10სთ-იდან 17სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება;

ბ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა);

გ) მაძიებლის მოწმობა/ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დამოუკიდებელი საქმიანობის დამადასტურებელი სერთიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (გადამზადების პროგრამის მსურველთათვის);

ე) პროფესიული საქმიანობის გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა/ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, (გადამზადების პროგრამის მსურველთათვის);

ვ) ავტობიოგრაფია (cv);

ზ) ფოტოსურათი 3x4 – 2 ცალი;

თ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ი) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).